ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის

<u>ლევან ჟორჟოლიანის</u>

(2017 წლის 15 ნოემბრიდან - 2018 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით)

საქმიანობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

დედაქალაქის საკრებულოს წევრი და ამავდროულად, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე წარმოგიდგენთ 2017 წლის 15 ნოემბრიდან 2018 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს.

მოგახსენებთ, რომ ვარ ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ წევრი, რომლის ფარგლებშიც, **2017 წლის 1 დეკემბრიდან - 2018 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით** მონაწილეობა **მივიღე 33 (ოცდაცამეტი) სხდომაში** და **განვიხილე 53 (ორმოცდაცამეტი) საკითხი.**

ამასთან, გახლავართ დედაქალაქის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრი და რამდენადაც, დღესდღეობით დედაქალაქისათვის უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს გარემოს დაცვა და ჯანსაღი გარემოს შენარჩუნება, როგორც კომისიის წევრი, მუდმივად ვინტერესდები ამ სფეროში განხორციელებული საქმიანობითა და არსებული ნოვაციებით. შესაბამისად, აქტიურად ვარ ჩართული მიმდინარე პროექტების განხილვისას. დავესწარი გარემოს დაცვის კომისიის **19** სხდომას და შევისწავლე **37 საკითხი.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიაში, აღნიშნულ პერიოდში შემოსულია **500-მდე** განცხადება/წერილი და თითოეულ მათგანზე კანონით დადგენილ ვადებში განხორციელდა/ხორციელდება შესაბამისი რეაგირება, ასევე, კომისიის სამდივნოს თანამშრომლებმა ასობით მოქალაქეს გაუწიეს ზეპირი იურიდიული კონსულტაცია.

აღსანიშნავია, რომ **2017 წლის 15 ნოემბრიდან - 2018 წლის 31 ოქტომბრის** ჩათვლით, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ჩაატარა **31 (ოცდათერთმეტი)** სხდომა. ხსენებული სხდომების ფარგლებში განხილულ იქნა **<u>223</u> განკარგულებისა** და **<u>111</u> დადგენილების პროექტი.**

მინდა აღვნიშნო, რომ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ **ჩემი თავმჯდომარეობის პერიოდში,** (2017 წლის 15 ნოემბრიდან - 2018 წლის 31 ოქტომბრის

ჩათვლით) ჩაატარა **30 (ოცდაათი)** სხდომა. ხსენებული სხდომების ფარგლებში განვიხილე **211 განკარგულებისა** და **110 დადგენილების პროექტი.**

ზემოხსენებულ სხდომებზე დეტალურად შევისწავლეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტები. ნორმატიული აქტების პროექტებზე ჩატარებული სამართლებრივი ექსპერტიზის ფარგლებში, კომისიას გააჩნდა როგორც ტექნიკური, ისე სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები, რომლებიც ძირითადად ემსახურებოდა პრეამბულისა და თავად პროექტის მუხლების ტექნიკურ, სამართლებრივ, შინაარსობრივ გამართვას, ზემდგომ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაში მოყვანასა და კანონის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფას.

ჩემი, როგორც კომისიის თავმჯდომარის მიერ მითითებული/წარდგენილი შენიშვნები გაიზიარა როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ. ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში, თავად ჩვენ (კომისია) მიერ იქნა შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტები.

აგრეთვე, შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ინიცირების მიზნით, წინადადებებით მივმართე საკრებულოს თავმჯდომარეს - ბატონ გიორგი ტყემალაძეს.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან აქტიურად ვიყავი ჩართული **დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის** პროექტის შემუშავების ეტაპზე. ჩემი კომპეტენციის ფარგლებში, შევისწავლე პროექტის როგორც გრაფიკული, ისე ტექსტური ნაწილი. წარვადგინე არაერთი შენიშვნა პროექტის სამართლებრივ, ასევე, ტექნიკურ ნაწილთან დაკავშირებით, შემდგომში განახლებული პროექტის წარმოდგენის მიზნით.

წარმოდგენილ ანგარიშში ცალკეულად გამოვყოფ იმ მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც განხილულ იქნა და შემდგომ მხარდაჭერილი იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ:

<u>გრანტის მიღების საკითხები:</u>

2017 წლის 24 ნოემბერს კომისიის სხდომაზე განვიხილეთ და თანხმობა მივეცით „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ „JEC Fund" -ისგან გრანტის მიღების საკითხზე თანხმობის გაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს, რომლის ფარგლებშიც, მუნიციპალიტეტმა მიიღო **5 600 000 იენის ოდენობის თანხა,** რომლის გამოყოფის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე იაპონური ბაღის მოწყობისათვის გაწეული ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურება.

ასევე, ***2017 წლის 26 დეკემბრის*** სხდომაზე მხარი დავუჭირეთ „საგრანტო ხელშეკრულება ევროკავშირის გარე მოქმედებები" გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების დადებაზე

თანხმობის მიცემის შესახებ საკითხს, რომლის ფარგლებშიც ბიზნეს აქსელერატორის შექმნისათვის ევროკავშირისგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გამოიყო გრანტი **506 633,93** (ხუთას ექვსი ათას ექვსას ოცდაცამეტი ევრო და ოთხმოცდაცამეტი ევროცენტი) **ევროს ოდენობით.**

ამასთან, ***2018 წლის 6 მარტს,*** კომისიის სხდომაზე თანხმობა მივეცით „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის, ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციის და ინტეგრირებული ავტომატიზებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შესამუშავებლად გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ გრანტის სახით გამოყოფილ იქნა **490 000 (ოთხას ოთხმოცდაათი ათასი) ევრო,** რომლის შედეგადაც დაწყებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციის და ინტეგრირებული ავტომატიზებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შემუშავება.

<u>მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემის საკითხები:</u>

აღსანიშნავია ქონების გადაცემის საკითხები, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღებით შევისწავლით, რამდენადაც, ხდება **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** უძრავი ქონების გადაცემა **იმ პირთათვის, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობდნენ და სარგებლობდნენ** შესაბამისი უძრავი ქონებით.

კერძოდ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე შევისწავლეთ და მხარი დავუჭირეთ:

- ქ. თბილისში, ცაიშის ქუჩა N36-ში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების საკითხს, რომლის ფარგლებშიც შესაბამისი უძრავი ქონება გადაეცა არაერთ ოჯახს და დასრულდა მრავალწლიანი მოლოდინის რეჟიმი. ***(2017 წლის 24 ნოემბერის სხდომა)***
- ქ. თბილისში, ფონიჭალას დასახლების მე-3 მ/რ კორპუსი N28-ში მდებარე უძრავი ქონება სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად, გადაეცა მრავალშვილიან დედას, ელეონორა უგულავას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობდა და სარგებლობდა აღნიშული ქონებით; ქ. თბილისში ფონიჭალას დასახლების IV მიკრორაიონში კორპუსი #11-ში მდებარე უძრავი ქონება სიმბოლურ ფასად გადაეცა 32 (ოცდათორმეტი) პირს საკუთრებაში. ***(2017 წლის 4 დეკემბერის სხდომა)***
- ქ. თბილისში, ფონიჭალას დასახლების მე-3 მ/რ-ის კორპუს N4-სა და ქ. თბილისში, ბეჟან კალანდაძის ქუჩა N6-ში მდებარე უძრავი ქონების გადაცემის საკითხს. ***(2017 წლის 14 დეკემბრის სხდომა)***

- ქ. თბილისში აჭარის ქუჩა N10-ში მდებარე უძრავი ქონების 38 (ოცდათვრამეტი) პირისათვის გადაცემის საკითხს, რომლებიც 2002-2005 წლებიდან დღემდე ცხოვრობენ აღნიშნულ ფართში. ***(2017 წლის 21 დეკემბერის სხდომა)***
- ქ. თბილისში, დაბა წყნეთსა და ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N115-ში მდებარე უძრავი ქონების გადაცემის საკითხს; ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის II მიკრორაიონის კორპუსი N20ა-ში I სართულზე არსებული 36,23 კვ. მ. ფართის - ფრიდონ ბათირაშვილისათვის გადაცემის საკითხს. ***(2018 წლის 15 იანვარის სხდომა)***
- ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილი 89-ში მდებარე უძრავი ქონების 17 (ჩვიდმეტი) მოქალაქისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხს. აღსანიშნავია, რომ ხსენებულ ტერიტორიაზე ზოგიერთი მაცხოვრებელი ცხოვრობს 75 (სამოცდათხუთმეტი) წელია, ხოლო, საერთო ჯამში განხორციელდა 26 (ოცდაექვსი) ერთეული ფართის გადაცემა. ასევე, ქალაქ თბილისში, აჭარის ქუჩა №10-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების გადაცემის საკითხს. ***(2018 წლის 25 იანვარის სხდომა)***
- ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილის, კორპუსი N4-სა და კორპუსი N5-ში მდებარე უძრავი ქონების გადაცემის საკითხს. ***(2018 წლის 6 მარტი)***
- ქ. თბილისში, ზაჰესის დასახლებაში, მშვიდობის ქუჩა N14-ში მდებარე უძრავი ქონების გია მღებრიშვილისთვის გადაცემის საკითხს, რომელიც 1982 წლიდან - დღემდე, ფლობდა და სარგებლობდა აღნიშნული უძრავი ქონებით; ქ. თბილისში, ლილოს დასახლების, მე-4 კვარტალის, კორპუსი #11-ში მდებარე უძრავი ქონების **ალექსი მირინაშვილისთვის** გადაცემის საკითხს; ქ. თბილისში, ლილოს დასახლების მე-2 მიკრორაიონის კორპუსი #5-ში მდებარე უძრავი ქონების მოქალაქე **ლეილა სიფრაშვილისთვის** გადაცემის საკითხს; ქ. თბილისში, ლილოს დასახლების, I მიკრორაიონის კორპუს N2ბ-ში მდებარე უძრავი ქონების **თამარ დარბიაშვილისათვის** გადაცემის საკითხსა და „ქალაქ თბილისში, ლიბანის I ჩიხი #2-ში მდებარე უძრავი ქონების შესაბამისი პირთათვის გადაცემის საკითხს. ***(2018 წლის 3 მაისის სხდომა)***
- ქ. თბილისში, ალექსეევკას დასახლებაში მდებარე უძრავი ქონების გადაცემის საკითხს. აღსანიშნავია, რომ ალექსეევკას დასახლებაში 2007 წლიდან მცხოვრებ 3 (სამი) პირს გადაეცა სამი ერთეული ფართი სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად; ქ. თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში, მე-3ა მიკრორაიონის კორპუს №3-ში მდებარე უძრავი ქონების გადაცემის საკითხს. აღსანიშნავია, რომ 2007 წლიდან მცხოვრებ 15 (თხუთმეტი) პირს გადაეცა სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად 15 (თხუთმეტი) ერთეული ფართი (ჯამში 942 კვ. მ.); ***(2018 წლის 12 ივნისის სხდომა)***
- ქ. თბილისში, გარდაბნის გზატკეცილი N24ა-ში მდებარე უძრავი ქონების (27 პირისათვის) საკუთრებაში გადაცემის საკითხს. ***(2018 წლის 29 ივნისის სხდომა)***
- ქ. თბილისში, ზაჰესის დასახლებაში, ავჭალის შესახვევი #3-ში მდებარე უძრავი ქონების გადაცემის საკითხს; ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, კორპუს №5-ში

მდებარე უძრავი ქონების მოქალაქე გულბენიზ ბალაევასთვის გადაცემის საკითხს; ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის მე-2 მიკრორაიონში, ჟღენტის ქუჩა N2ა-ში მდებარე უძრავი ქონების, მოქალაქე იზოლდა აფხაზავასათვის გადაცემის საკითხს; წყნეთის გზატკეცილზე, კორპუს N4-ში მდებარე უძრავი ქონების (22,05 კვ.მ.) მოქალაქე ანა გოგორელიანისთვის გადაცემის საკითხს. ***(2018 წლის 10 ივლისის სხდომა)***

- ქ. თბილისში, მუხიანის მე-4ა მიკრორაიონის კორპუს N10-ში მდებარე უძრავი ქონების გადაცემის საკითხს. ***(2018 წლის 10 აგვისტოს სხდომა)***
- ქ. თბილისში, ლილოს დასახლების მე-5 კვარტალის კორპუს N2-ში მდებარე უძრავი ქონების მოქალაქე მარინე მირიანაშვილისთვის გადაცემის საკითხს. ***(2018 წლის 17 აგვისტოს სხდომა)***
- ქ. თბილისში, სოფელ ნასაგურში, ნაძვების ქუჩა N10-ში მე-2 სართულზე მდებარე 106.52 კვ.მ უძრავი ქონების მოქალაქე ციცია ჩოფლიანისთვის გადაცემის საკითხს; ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, მე-3 მიკრორაიონის კორპუს 10ა-ში მდებარე უძრავი ქონების შესაბამისი პირთათვის გადაცემის საკითხს. ***(2018 წლის 11 სექტემბრის სხდომა)***

ინტერესთა გამოხატვის საკითხები:

2018 წლის 3 მაისის სხდომაზე - შევისწავლეთ და თანხმობა მივეცით მიწისქვეშა ავტოსადგომების მოწყობის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების საკითხს, რომლის ფარგლებშიც გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა სამ ლოკაციაზე - **ვარკეთილის მეტროს, რკინიგზის სადგურის და გეგეშიძის ბაღის მიმდებარედ.**

აღსანიშნავია, რომ გამარჯვებული ინვესტორი შესაბამის ტერიტორიაზე ჩაატარებს კვლევას და გადაწყვეტილების მიღების შემდგომ ააშენებს მრავალდონიან მიწისქვეშა ავტოსადგომებს, რომლებსაც შემდგომ უსასყიდლოდ გადმოსცემს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს.

2018 წლის 25 მაისის სხდომაზე - მხარი დავუჭირეთ "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, თბილისის საკონცერტო დარბაზის მიმდებარედ, მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ოპერირებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს.

აღსანიშნავია, რომ თბილისის საკონცერტო დარბაზის მიმდებარედ მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მიწის ნაკვეთის სავარაუდო ფართობია 2304 კვ.მ, ავტოსადგომების მინიმალურ ოდენობად განსაზღვრულია - 183 ერთეული. ამასთან,

ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირს ქონება გადაეცემა პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, ხოლო, აღნაგობის ვადად განსაზღვრულია 27 წელი, შესაბამისი მშენებლობის ნებართვის მოპოვებიდან.

2018 წლის 12 ივნისის სხდომაზე - განვიხილეთ და მხარი დავუჭირეთ „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს, რომლის თანახმადაც, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირი შესაბამის ტერიტორიაზე ააშენებს საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებს. ხოლო, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, შესაძლებელი იქნება დაახლოებით 170 ოჯახის გადაყვანა ხსენებულ შენობაში.

2018 წლის 10 აგვისტოს სხდომაზე - მხარი დავუჭირეთ „ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლების IV მიკრორაიონის კორპუსი N25-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 11 774 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.07.004.025) საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების შესახებ პირობების მოწონების თაობაზე” და “ქალაქ თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი IV, კორპუსი N25-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 6122 კვ.მ (საკადასტრო კოდი: N01.72.14.004.483) მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ” - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებების პროექტებს, რომელთა თანახმადაც, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირს შესაბამისი მიწის ნაკვეთები გადაეცემა კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პირობადებულ საკუთრებაში, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული ინვესტორი კი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს გადმოსცემს შესაბამის საცხოვრებელ ფართს, რომელსაც მუნიციპალიტეტი გადასცემს ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს.

2018 წლის 2 ოქტომბრის სხდომაზე - ასევე, მხარი დავუჭირეთ “ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, წყალსადენის ტერიტორიის მიმდებარედ, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის მოწონების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს, რომლის ფარგლებშიც, იგეგმება ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობა. ხსენებული შენობა-ნაგებობის გარკვეული ფართი საკუთრებაში გადაეცემა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს.

<u>კოოპერატივის წევრებისათვის, მათი წარმომადგენლებისთვის ან მათი უფლებამონაცვლეებისათვის ქონების გადაცემა:</u>

აღსანიშნავია, რომ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის განკარგულებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ეთხოვა, უზრუნველყოს კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ეტაპობრივად ხორციელდება/განხორციელდა ზემოხსენებული პირებისათვის უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემა.

ამრიგად, დეტალურად შევისწავლეთ და მხარი დავუჭირეთ:

2017 წლის 15 დეკემბრის სხდომაზე - ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3642 კვ.მ მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო სამშენებლო კოოპერატივის წევრებისათვის მათი წარმომადგენლებისთვის ან მათი უფლებამონაცვლეებისათვის გადაცემის საკითხს (ჯამში 19 ფიზიკური პირი).

2018 წლის 25 მაისის სხდომაზე - ქ. თბილისში, მარიჯანის ქუჩის მიმდებარედ არსებული 3788 კვ.მ მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერეტივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხს. ასევე, „ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა, კორპუსი №2-ის მიმდებარედ, არსებული 5496 კვ.მ მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხს.

2018 წლის 12 ივნისის სხდომაზე - ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩა N133ა-ში მდებარე უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად (2000 წლიდან მცხოვრები) 7 (შვიდი) პირისათვის გადაცემის საკითხს. აღსანიშნავია, რომ ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩა N133ა-ში მცხოვრები პირები არიან ასევე, **კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულები** და შესაბამისად, ამ ფართის დაკანონებით მათ **უარი განაცხადეს სახელმწიფო ვალზე.**

2018 წლის 29 ივნისის სხდომაზე - ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრორაიონში, ზემო პლატოზე არსებული 6853 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხს, რომელიც ემსახურებოდა ამხანაგობა „ნუცუბიძის პლატო-2015“ წევრების შესაბამისი ფართებით დაკმაყოფილებას. აღსანიშნავია, რომ ამხანაგობის წევრები **წარმოადგენენ კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით დაზარალებულ პირებს.**

2018 წლის 27 ივლისის სხდომაზე - ქალაქ თბილისში, გ. ჩიტაიას ქ. N12-ში მდებარე, ფართების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხს. რომლის ფარგლებშიც, შესაბამისი ქონება გადაეცათ ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებს (ემირ ქვაჩახია და ლელა ქოქოსაძე).

2018 წლის 10 აგვისტოს სხდომაზე - ქალაქ თბილისში, ვუკოლ ბერიძის ქ. #2-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი წარმომადგენლებისთვის, უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხს.

ბიუჯეტი:

შევისწავლეთ და მხარი დავუჭირეთ:

2017 წლის 20 ნოემბრისა და 14 დეკემბრის სხდომებზე - ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს. **(ბიუჯეტის დაზუსტებული პროექტი).** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენიშვნები და ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა განისაზღვრა **861 609,0 ათასი ლარით,** რაც თავდაპირველ ვარიანტთან შედარებით გაზრდილია **46 398,9 ათასი ლარით.** აღსანიშნავია, რომ თბილისის ბიუჯეტში აისახა ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი 14 (თოთხმეტი) მილიონი ლარი, რომელიც ძირითადად მიემართება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ღონისძიებებისთვის.

2018 წლის 16 თებერვლის სხდომაზე - ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხს, რომლის თანახმადაც, ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა **35 254,6 ათასი ლარით** და შეადგინა **896 863,6** ათასი ლარი.

2018 წლის 13 აპრილის სხდომაზე - 2018 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტს, რომლის მიხედვითაც გაიზარდა რიგი პროგრამების/ქვეპროგრამების ასიგნებები.

2018 წლის 15 ივნისის სხდომაზე - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს. წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 10 000,0 ათასი ლარით და შეადგინა **906 863,6 ათასი ლარი.**

2018 წლის 27 ივლისის სხდომაზე - 2018 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების საკითხს, რომლის თანახმად, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 2 ივლისის N1341 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების სარეაბილიტაციო ღონისძიებების დაფინანსებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ასახვის მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან დამატებით გამოიყო 10 000,0 ათასი ლარი, ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა და შეადგინა **916 863,6 ათას ლარი.**

2018 წლის 13 აპრილის სხდომაზე - გავეცანით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს.

ასევე, გარდა ზემოაღნიშნული საკითხებისა, შევისწავლე/შევისწავლეთ და მხარი დავუჭირეთ არაერთ მნიშვნელოვან პროექტს:

2018 წლის 15 იანვრის სხდომაზე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში განხორციელებული რეორგანიზაციის თანმდევ ცვლილებებს, რომელთა ფარგლებშიც, დამტკიცდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების; მუნიციპალური შესყიდვების; უსაფრთხოების; ურბანული განვითარების; ტრანსპორტის; საფინანსო; კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა; იურიდიული; ინფრასტრუქტურის განვითარების; ზედამხედველობის; ეკონომიკური განვითარების; ეკოლოგიისა და გამწვანების; გარემოს დაცვისა და შიდა აუდიტისა და მონიტორინგის - საქალაქო სამსახურების დებულებანი. მათ შორის, დამტკიცებულ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის დებულება, მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხები.

<u>ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თაობაზე:</u>

2018 წლის 9 თებერვლის სხდომაზე - შევისწავლეთ და მხარი დავუჭირეთ: „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს, რომლის მიხედვით, ჩამოყალიბდა ბმა-ს დაფინანსების სრულიად ახლებური მექანიზმი. კერძოდ, ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების ჩატარების მიზნით,

გამგეობის მიერ სრულად (100%-ით) დაფინანსდა/დაფინანსდება შემდეგი ძირითადი მიმართულებები: სახურავის შესაკეთებელი სამუშაოები; ლიფტის შესაკეთებელი სამუშაოები; წითელ ხაზებში მოქცეული შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შესაკეთებელი სამუშაოები; 4 სართულამდე შენობის ან/და მისი შემადგენელი ელემენტების კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოები; საერთო სარგებლობის შიდა ინფრასტრუქტურის სამუშაოები და ა.შ. ხოლო, წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში ამხანაგობას დაევალა საერთო კრების ოქმით განსაზღვროს საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისთვის აუცილებელი სადანახარჯო შენატანების ოდენობა, რომლის შეტანაც განხორციელდება ამხანაგობის ანგარიშზე. შენატანების ოდენობა უნდა შეადგენდეს გამგეობის მიერ დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოს ღირებულების არანაკლებ 10%-ს.

ხოლო, ***2018 წლის 11 სექტემბრის სხდომაზე*** - ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 9 თებერვლის №12-29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს, რომლის მიზანს წარმოადგენდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 9 თებერვლის №12-29 დადგენილებით დამტკიცებული, ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის მეტად დახვეწა და ამ მხრივ განხორციელებული საქმიანობის პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა, შემდეგი სახით:

- ინფრასტრუქტურული პროექტების სრულყოფილად განხორციელებისა და პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების რაციონალურად და ეფექტურად განკარგვის მიზნით, დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-11 მუხლს დაემატა 3[1] პუნქტი, რომლის მიხედვითაც, **დასაფინანსებელი სამუშაოების ჩამონათვალს დაემატა ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო დეფექტური აქტებისა და ხარჯთაღრიცხვების მომზადების მომსახურების დაფინანსების უფლებამოსილება.**

ასევე, ვინაიდან, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრებს გარკვეულ შემთხვევებში არ გააჩნდათ გამგეობის მიერ დასაფინანსებელი, ძვირადღირებული ინფრასტრუქტურული სამუშაოს ღირებულების აუცილებელი სადანახარჯო შენატანის -10%-ის შეგროვების შესაძლებლობა. განხორციელდა დადგენილებით დამტკიცებულ წესში ცვლილება, რომელმაც შეამცირა დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოს ღირებულების აუცილებელი სადანახარჯო შენატანის ოდენობა.

2018 წლის 16 თებერვლის სხდომაზე - ასევე, შევისწავლეთ და მხარი დავუჭირეთ „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს, რომლის თანახმადაც, განისაზღვრა გაჩერებების ადგილები, სადაც უკვე ხორციელდება M2 კატეგორიის მარშრუტებზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების გაჩერება მგზავრობის სატრანსპორტო მომსახურების მიზნით. *აღნიშნული ქუჩებია: ვაჟა ფშაველას გამზირი; ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი; ჰეკინის ქუჩა; ჟიული შარტავას ქუჩა; მერაბ კოსტავას ქუჩა; ილია ჭავჭავაძის გამზირი; პეტრე მელიქიშვილის ქუჩა; მარშალ გელოვანის გამზირი; დავით აღმაშენებლის ხეივანი; დავით აღმაშენებლის გამზირი; ვახტანგ გორგასლის ქუჩა; ჯორჯ ბუშის ქუჩა; კახეთის გზატკეცილი. აღნიშნულ ქუჩებზე გათვალისწინებულია 239 გაჩერება.*

2018 წლის 12 ივნისის სხდომაზე - ვიმსჯელეთ და მხარი დავუჭირეთ ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს, რომელიც დამტკიცებულ იქნა კომისიისა და საკრებულოს მიერ. ამავე სხდომაზე კომისიის წევრებმა მოვისმინეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის საქმიანობის ანგარიში (2018 წლის პირველი კვარტალი).

<u>მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ:</u>

საყურადღებოა, რომ დედაქალაქში არსებული გამოწვევებისა და მიმდინარე რეფორმების გათვალისწინებით შეიცვალა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილება. ხოლო, მე, როგორც იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე აქტიურად ვიყავი ჩართული ამ უკანასკნელის სამართლებრივი ასპექტების შესწავლასა და დახვეწაში.

შევისწავლეთ და მხარი დავუჭირეთ:

2018 წლის 16 თებერვლის სხდომაზე - „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის **№14-39** დადგენილებაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტს.

დადგენილებაში განხორციელებული ცვლილებები ემსახურებოდა ურბანული დაგეგმარების პროცესში სატრანსპორტო და გამწვანების საკითხების ინტეგრაციას, გამწვანებისა და სარეკრეაციო სივრცეების ზრდას, განაშენიანების პროცესში სატრანსპორტო პოლიტიკის გათვალისწინებას. კერძოდ, განსახორციელებელი ცვლილებების შედეგად, ქალაქთმშენებლობითი განვითარების პრიორიტეტი და წინაპირობა საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასთან ერთად ასევე გახდა მწვანე ინფრასტრუქტურა. ხოლო, გაუნაშენიანებელ ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებისას, საპროექტო ტერიტორიის მინიმუმ 20% მწვანე ნარგავების გასაშენებლად გათვალისწინებას.

ამასთან, ***2018 წლის 12 ივნისის სხდომაზე*** - განვიხილეთ ზემოხსენებული ნორმატიული აქტის მორიგი ცვლილების საკითხი, რომელიც ემსახურებოდა გარკვეულ პროცედურათა გამარტივებას და გართულებული ბიუროკრატიული სისტემის მოხსნას.

ამავე წლის 10 ივლისის სხდომაზე - ასევე, განვიხილეთ **№14-39** დადგენილებაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი, რომლის თანახმადაც, სტრუქტურული ერთეულის მიერ განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპის განხორციელებისას, სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სამსახურის ჩართვა სავალდებულო გახდა შემდეგ შემთხვევებში:

- გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;
- თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს.

ასევე, ***2018 წლის 27 ივლისის სხდომაზე*** - აქტის სრულყოფის მიზნით კვლავ იქნა განხილული **№14-39** დადგენილებაში ცვლილების საკითხი, რომელიც ძირითადად ემსახურებოდა ტექნიკური ხარვეზების გამოსწორებას.

2018 წლის 3 მაისის სხდომაზე - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

წარმოდგენილი პროექტით: განსაზღვრულია ლისის ტბის ტერიტორიაზე არეალი, რომლის ფარგლებშიც შეიზღუდება სამშენებლო განვითარება.

ასევე, ***2018 წლის 11 სექტემბრის სხდომაზე*** - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს. დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილის **მე-19 მუხლის მე-4 პუნქტს დაემატა „დ“ ქვეპუნქტი,** რაც ემსახურება დედაქალაქში სწორი ურბანული პოლიტიკის გატარებას.

საყურადღებოა, რომ საქართველოს კანონში „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ განხორციელებული ცვლილებების კვალდაკვალ, თანმდევი ცვლილებები განხორციელდა ამ უკანასკნელთან დაკავშირებულ ნორმატიულ აქტებშიც, კერძოდ:

შევისწავლეთ და მხარი დავუჭირეთ:

2018 წლის 29 ივნისის სხდომაზე - „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-95 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

ცვლილებების მიზეზი გახდა ცვლილების განხორციელება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. წარმოდგენილი პროექტების მიხედვით, აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებისა და ღამის საათებში პიროტექნიკური ნაკეთობის გამოყენების შემთხვევებზე შესაბამისი რეაგირების განხორციელებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის **ზედამხედველობის საქალაქო სამსახური**.

2018 წლის 10 აგვისტოს სხდომაზე - „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2014 წლის 30 დეკემბრის N20-95 დადგენილებაში** ცვლილების შეტანის შესახებ” და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2014 წლის 30 დეკემბრის N20-96 დადგენილებაში** ცვლილების შეტანის შესახებ” საკრებულოს დადგენილებების პროექტებს.

აღსანიშნავია, რომ სასკ-ში (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი) გარკვეულ სამართალდარღვევებზე განისაზღვრა „დედაქალაქის/ქ. თბილისის“

ჩანაწერი, კერძოდ კი, ***დედაქალაქის*** ტერიტორიაზე ჩადენილი სამართალდარღვევებისთვის გათვალისწინებულ იქნა **გაზრდილი ჯარიმა.**

შესაბამისად, ზემოაღნიშნულ აქტებში გარკვეული უფლებამოსილებანი გადანაწილდა/ამოღებულ იქნა/გაიმიჯნა და შესაბამისობაში მოვიდა მოქმედ კანონმდებლობასთან.

ამასთან, ***2018 წლის 25 მაისის სხდომაზე*** - შევისწავლეთ და თანხმობა მივეცით „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის **N17-56** დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს, რომლის მიხედვითაც, შეიცვალა სააგენტოს სტრუქტურა და სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციები. სააგენტოში გაუქმდა ოთხი განყოფილება, შემცირდა მენეჯერული პოზიციებისა და სხვადასხვა შტატების რაოდენობა, მათ შორის, ოპერატიული რეაგირებისა და მონიტორინგის განყოფილების თანამშრომელთა რიცხვი. ხოლო განხორციელებული შემცირებების ხარჯზე გაიზარდა ვეტექიმების, ფერშლების, კინოლოგების, დამლაგებლებისა და სანიტარული დამლაგებლების რაოდენობა.

ამავე სხდომაზე მხარი დავუჭირეთ განკარგულებების პროექტებს, რომელთა ფარგლებშიც განხორციელდა რიგი გეოგრაფიული ობიექტებისთვის საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებასთან დაკავშირებული სახელწოდებების მინიჭება. კერძოდ, ცვლილება შეეხო იმ გეოგრაფიულ ობიექტებს, რომლებიც ატარებდნენ საბჭოთა ბოლშევიკურ რეჟიმთან დაკავშირებული ნომენკლატურის სახელწოდებებს ან/და ცალკეულ პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით სახელწოდებებს. მათ შორის აღსანიშნავია, რომ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მნიშვნელობის გათვალისწინებით, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა დედაქალაქის ერთ-ერთი მთავარი მოედნისათვის >**პირველი რესპუბლიკის მოედნის**< სახელის მინიჭებას.

გარდა ამისა, კომისიის სხდომაზე შევისწავლეთ და მხარი დავუჭირეთ:

2018 წლის 27 ივლისის სხდომაზე - “საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M_1კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

2018 წლის 6 მარტის სხდომაზე - ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტს, რომლის დამტკიცებითაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა იმ პრობლემათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში დაგროვდა თბილისის ბიბლიოთეკების სისტემაში.

2018 წლის 30 მარტის სხდომაზე - „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით და 125[2] მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს, რომელიც შპს ,,სითი პარკის“ შპს ,,თბილისის სატრანსპორტო კომპანიით“ ჩანაცვლების საკითხს ეხებოდა.

ასევე, ***2018 წლის 25 სექტემბრის სხდომაზე*** - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

ზემოხსენებული პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის“ სახელწოდება შეიცვალა - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის **მუნიციპალური ინსპექციით“.** აღნიშნულმა ცვლილებამ ასევე, თანმდევი ცვლილებები გამოიწვია დადგენილებასთან დაკავშირებულ სხვა ნორმატიულ აქტებშიც, რომლებიც ამავე კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა და კომისიის მიერ მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად იქნა მიჩნეული საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

2018 წლის 2 ოქტომბრის სხდომაზე - განვიხილეთ და მხარი დავუჭირეთ საკითხს, რომლის თანახმადაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან წარმოადგინა:

- „ქ. თბილისის მერიასა და შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფს“ შორის დადებული „2008 წლის 20 თებერვლის „უძრავი ქონების ნასყიდობის და იპოთეკის N1137/1 ხელშეკრულების (მასში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით) შეწყვეტის საკითხი.

- ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულებების გაუქმების საკითხი.

- ქ. თბილისის მერიასა და შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფს“ შორის დადებული „2008 წლის 20 თებერვლის „უძრავი ქონების ნასყიდობის და იპოთეკის N1137/1 ხელშეკრულებით“

გათვალისწინებული ვალდებულებების ვადაგადაცილებით შესრულების ან/და შეუსრულებლობის გამო დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოს გადახდისგან შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ გათავისუფლების საკითხი.

ზემოაღნიშნული საკითხების წარმოდგენა ემსახურებოდა მესამე პირების მიმართ შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ ვალდებულებების შესულების მიზნით რიგი ღონისძიებების გატარებას, რომელთა მეშვეობითაც მოხდება შესაბამისი უძრავი ქონების, იმ პირთა ინტერესების გათვალისწინებით განკარგვა, რომელთაც აღნიშნულ ქონებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უდასტურდებათ კომპანიის მიმართ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი.

ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში განხორციელებული აქტივობების ფარგლებში, 2018 წლის 20 თებერვალს - როგორც თბილისის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გავმართე, რომელსაც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრა დისკუსიის ფორმატში წარიმართა, რომელზეც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად, დღეისათვის ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებული პრობლემებისა და გამოწვევების თაობაზე ვიმსჯელეთ.

2018 წლის 6 აგვისტოს - კომისიის სამუშაო შეხვედრაზე განვიხილეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნის თაობაზე რეკომენდაციები. ასევე, M3 კატეგორიის ავტობუსების გაჩერებების სახელდების და შშმ პირთათვის ავტობუსების გაჩერებების ხმოვანი გამოცხადებისთვის შესაბამისი სისტემის დამონტაჟების საკითხიც. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ თბილისის მერიის საქალაქო სამსახურებთან შეთანხმებით, ამ პროექტის განხორციელება ეტაპობრივად დაიწყება.

ამასთან, წერილობითი სახის მიმართვებით თბილისის მუნიციპალიტეტის ათივე რაიონის გამგეობიდან გამოვითხოვეთ ინფორმაცია (მ/წლის პირველი იანვრიდან - 30 ივნისის ჩათვლით (ორი კვარტალი)), შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნების/პირობების დაკმაყოფილების გათვალისწინებით, შესაბამისი რაიონის ტერიტორიაზე, განხორციელებული ინფრასტრუქტურული ღონისძიებების, მათ შორის, პანდუსების, სპეციალური ამწეებისა და ლიფტების დამონტაჟების შესახებ გაწეული ანგარიშის თაობაზე, შესაბამისი ილუსტრაციებით.

ასევე, ***2018 წლის 5 მარტს*** - ჩემი ინიციატივით გაიმართა ბიზნეს ომბუდსმენთან სამუშაო შეხვედრა, რომელიც ეძღვნებოდა მუნიციპალიტეტის დონეზე ბიზნესის განვითარებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის საკითხებს. შეხვედრას ბიზნეს ომბუდსმენი ირაკლი ლექვინაძე და მისი მოადგილე ლევან კალანდაძე, ასევე საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე და საკრებულოს წევრები ესწრებოდნენ.

აგრეთვე, ჩემი აქტიური ჩართულობით, ***2018 წლის 21 ივნისს*** - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიისა და გარემოს დაცვის კომისიის გაერთიანებულ სხდომაზე მოვიწვიეთ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს უფროსი - ვახტანგ ლომჯარია, რომელმაც დეპუტატებს დედაქალაქში უპატრონო ძაღლებთან დაკავშირებული ვითარება გაგვაცნო და ამ მიმართულებით არსებული პრობლემების მოგვარების გზებზე ისაუბრა. სხდომაზე ყურადღება გამახვილდა შინაური ცხოველების რეგისტრაციის და მათი გამრავლების საკითხზე. კომისიების წევრებმა ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ხელმძღვანელთან ერთად, სხვადასხვა საკანონმდებლო ინიციატივებზე, მათ შორის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების დახვეწის თაობაზე ვიმსჯელეთ და ამ მიმართულებით სამომავლო გეგმები დავსახეთ.

გასვლითი შეხვედრების ფარგლებში, 2018 წლის 19 ოქტომბერს - შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) თბილისის ოფისის ხელმძღვანელს, უფროს ტექნიკურ მრჩეველს, **ქინენ ბანასს** ჩემი თაოსნობით, გავაცანით დედაქალაქში სამშენებლო ობიექტებზე არსებული შრომის უსაფრთხოების სტანდარტები. საკრებულოს წევრებმა და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა გორგასლის #53-ში მშენებარე ობიექტი მოვინახულეთ.

ასევე, თბილისის საკრებულოში, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის თბილისის ოფისის ხელმძღვანელთან ერთად, ახალგაზრდების დასაქმების სფეროში არსებული გამოწვევები განვიხილეთ. შეხვედრა თავისუფალი დისკუსიის რეჟიმში წარიმართა, სადაც დამსწრეებმა ქინენ ბანასს სხვადასხვა სახის შეკითხვა დაუსვეს და მისგან შესაბამისი რეკომენდაციებიც მიიღეს.

მათ შორის, ჩემი და თბილისის საკრებულოს რამდენიმე წევრის ინიციატივით, მუნიციპალური ინსპექციის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს უწყებათაშორის სემინარში, რომელიც გაიმართა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ორგანიზებითა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერით.

აქვე აღსანიშნავია, რომ სამშენებლო უსაფრთხოების კუთხით, აქტიურ თანამშრომლობას ვაგრძელებთ ILO-სთან.

ამასთან, მინდა აღვნიშნო, რომ აქტიურად მაქვს კომუნიკაცია საზოგადოების ახალგაზრდა წარმომადგენლებთან, გარკვეულწილად ტრადიციული ხასიათი მიიღო ჩემ მიერ დანერგილმა პროექტმა - **„ერთი დღე სტუდენტებთან“,** რომლის ფარგლებშიც გასვლით შეხვედრებს ვმართავ სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებთან.

შეხვედრებზე მიმოვიხილეთ ადგილობრივი თვითმმართველობის გამოწვევები, განხორციელებული და სამომავლოდ განსახორციელებელი პროექტები, მათ შორის, მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარების გეგმები. ვისაუბრეთ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე, გარე ვაჭრობაზე, გამწვანებასა და გარემოს დაცვის მიმართულებით წინ გადადგმულ ნაბიჯებზე.

ხსენებული პროექტის ფარგლებში, სტუდენტებს ვუზიარებ ჩემს პროფესიულ და სამსახურეობრივ გამოცდილებას, ამავდროულად, მსგავსი შეხვედრები მეხმარება ნათლად დავინახო დედაქალაქში არსებული გამოწვევები, რომელთაც საზოგადოების ყველაზე აქტიური ნაწილი ყოველდღიურ ცხოვრებაში გრძნობს, რათა სამომავლოდ და მიმდინარე სამუშაო რეჟიმში სწორი მიმართულება ავიღო არსებულ პრობლემათა გადასაჭრელად.

ამასთან, ჩემი თანამდებობრივი სტატუსისა და პროფესიიდან გამომდინარე, ხშირად მიწევს საეთერო დებატებში მონაწილეობა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებთან ერთად, სადაც აქტიურად მიმოვიხილავ მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ/განსახორციელებელ პროექტებს და ვცდილობ დედაქალაქის და არამარტო, მაცხოვრებლებს თვალნათლივ დავანახო და ავუხსნა თითოეული წამოწყებული პროექტის/შესაბამისი საკითხის სწორი და ობიექტური მნიშვნელობა.

დაბოლოს, **2017 წლის 15 ნოემბრიდან - 2018 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით** ვიმყოფებოდი არაერთ კონფერენციაზე, ტრენინგსა და პრეზენტაციაზე.

პატივისცემით,

ლევან ჟორჟოლიანი

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე